აგრობიზნესის საჭიროებები

ონის მუნიციპალიტეტი

1. შესავალი

კვლევა განხორციელდა 2014 წლის სექტემბერში საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - ,,People in Need" თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით აგრობიზნესის საჭიროებების კვლევის ნაწილს. ადგილობრივი აგრობიზნესის საჭიროებების შესწავლის შედეგები დაეხმარება ადგილობრივ, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში.

კვლევა განხორციელდა პროექტის - ,,კოოპერატივების მხარდაჭერა იმერეთის რეგიონში, საქართველოში" ფარგლებში, ENPARD Georgia-ს და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

2. მეთოდოლოგია

აგრობიზნესების საჭიროებების შესწავლა მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აგრობიზნესის წარმომადგენლების (ინდივიდუალური რესპონდენტი ან ფოკუს ჯგუფის მონაწილე) - შერჩევით, რომლებმაც მოახდინეს საკუთარები მოსაზრებების გაზიარება ადგილობრივი სასოფლო-ამეურნეო ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ. კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სამაგიდო კვლევა;
- ფოკუს-ჯგუფის განხილვები;
- ჩაღრმავებული ინტერვიუები;
- პრიორიტეტების სქემები;

ინტერვიუერებმა და ფასილიტატორებმა რესპონდენტებს ხელი შეუწყვეს მოსაზრებების ანალიზსა და კატეგორიზაციაში. მას შემდეგ რაც შემუშავდა SWOT ანალიზი, რესპონდენტებმა მოახდინეს გადაჭრის გზების პრიორიტეტიზაცია პრიორიტეტების სქემის მეთოდის გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვების მიზნით, საეა-მ შეიმუშავა ფოკუს

ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების სახელმძღვანელო (იხ. დანართი), რომელშიც ასახულია ღია კითხვები და საკვლევი საკითხები მიხედვით.

ფოკუსჯგუფები და ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა საეა-ს ექსპერტების მიერ. ექსპერტებს ტექნიკურ საკითხებში დაეხმარებიან აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტები ინტერვიუების და დისკუსიების ფასილიტაციაში და ტრანსკრიპტების მომზადებაში. სტუდენტებისთვის ჩატარდა სპეციალური ტრენინგი და მათ მიიღეს შესაბამისი ტექნიკური დავალებები. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა დედუქციური მიდგომის გამოყენებით საეა-ს ექსპერტების მიერ. ანალიზი ეფუძნება მონაცემების დაჯგუფებას და მსგავსებების გამოვლენას/საერთო ტენდენციების და განსხვავებების იდენტიფიცირებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით ძირითადად მეცხოველეობა (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა), მცირედით მიწათმოქმედება (მეხილეობა, მებოსტნეობა) და მევენახეობა არის განვითარებული. მოცემული ცხრილი ასახავს მონაცემების მოპოვების მეთოდებს რესპონდენტების კატეგორიების მიხედვით.

რესპონდენტები	ფოკუს-ჯგუფები	ჩაღრმავებული ინეტრვიუები	პრიორიტეტების სქემა
მცირე ზომის ფერმერები (<1 ჰა-მდე);	2 ფოკუს-ჯგუფი		გამოყენებულია
საშუალო ზომის ფერმერები (1-დან 3 ჰა-მდე);	1 ფოკუს-ჯგუფი		გამოყენებულია
სოფლისმეურნეობის ძირითადი მიმწოდებლები (თესლების, შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების და ა.შ.) და მსხვილი ფერმერები (>3 ჰა-ზე მეტი);		5 ინტერვიუ	

სამწუხაროდ ოფიციალური მონაცემები სოფლის-მეურნეობის სექტორზე მუნიციპალურ ჭრილში არ არსებობს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის პროფილის შედგენისას და სოფლის მურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით ძირითადად გამოყენებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ონის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 28-29 სექტემბერს ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები: 2 შეხვედრა მცირე ფერმერებთან (<1ჰა მიწის ფართობის მფლობელები და მეცხოველეობაში ჩართული ფერემრები) და 1 შეხვედრა საშუალო ფერმერებთან (1-დან 3 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელები და მეცხოველეობაში ჩართული ფერემრები). თითოეულ ფოკუს ჯგუფის შეხვედრას საშუალოდ 8-10 ფერმერი ესწრებოდა. ასევე ჩატარდა 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ საშუალო ფერმერებთან, მათ შორის 1 დაკავებული იყო მეკარტოფილეობით, 2 - მესაქონლეობით; 1 ინტერვიუ ჩატარდა ასევე ადგილობრივ საოჯახო სასტუმროს მფლობელთან და 1 ინტერვიუ ადგილობრივ ვეტერინართან. ფოკუს ჯგუფებზე და იდივიდუალურ ინტერვიუებზე გამოყენებული იქნა სპეცილური კითხვარი, რომელიც მოცემულია დანართის სახით.

3. ონის მუნიციპალიტეტის პროფილი

ზოგადი აღწერა

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში და შეადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. მისი ფართობი შეადგენს 135 ათას ჰა–ს. მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო მიწებს უკავიათ 45 ათასი ჰა, რაც მთლიანი ტერიტორიის 30%-ია. ონის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ეკვრის ჯავის, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკები. ფართობი 1359.4 კმ²-ია. ცენტრი - ქალაქი ონი. მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 64 სოფელია. ქალაქი ონი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებრეობს მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ხეობაში, ზღვის დონიდან 830 მ-ზე.

ონში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 10°C-ია, წლის ცივი თვის, იანვრის ტემპერატურაა - 1°C, ხოლო ყველაზე თბილი თვის, ივლისის, 20.4°C.

დემოგრაფია

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის 1 იანვრის მოანცემებით წლის მონაცემებით 8 100 კაცია, მათ შორის ქალაქ ონში 3 150 პირია დასახლებულია, სოფლად ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60%[1]. მოსახლეობის სიმჭიდროვე 6 კაცი/კმ2-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ2) 10-ჯერ ჩამოუვარდება. ამათან, მოსახლეობის 60%-ზე მეტი 65 წელს გადაცილბეულია[2], მწავვედ დგას შიდა და გარე მიგრაციის საკითხიც.

ეკონომიკა

ონის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი სექტორები წარსულში იყო მინერალური წყლების ჩამოსხმა, ბარიტის წარმოება, მრეწველობის საწარმოები, სატრანსპორტო სამსახურები, სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობის ფერმები) და სამკერვალო ფაბრიკა. მაგრამ შემოსავლის ძირითადი სექტორები რადიკალურად შეიცვალა, რაც ქვეყანაში სოციალური და ეკონომიური ფორმაციის შეცვლამ განაპირობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უზრუნველყოფა ძირითადად გამოთანაბრებითი ტრანსფერებით ხდება. მიმდინარე ეტაპზე რეგიონში მოსახლეობა ძირითადად ჩართული სასოფლო სამეურნეო საქმნიანობებში - ძირითადი სექტორებია - მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. მდიდარი წყლის რესურსები მუნიციპალიტეტში სატბორე და საკალმახე მეურნეობის განვითარების პერსპექტივას ქმნის.

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[2] წყარო: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სოფლის მეურნეობა

მიწათმოქმედება - სოფლის მეურნეობა ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წამყვანი დარგია. თუმცა იგი არ არის სათანადოდ მოდერნიზერბული და ძირითადად ნატურალური მეურნეობის ხასიათს ატარებს. მეტწილად იგი ორინეტირებულია შინამეურნეობის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის რელიეფის, გამო მუნიციპალიტეტი გამიორჩევა ფართობების ფრაგმენტაციით, რაც ართულებს მეურნოებების გამსხვილების შესაძლებლობას. ამასთან, ოჯახების უმეტესობას საკუთრებაში აქვს 1,25 ჰა-ზე ნაკლები მიწა. სავრაგულების 80%-ზე მეტი ელექტრონულად დაურეგისტრირებელია.

სასოფლო სამეურნო სავარგულებს ჯამში 45 ათასი ჰა უკავია, მათ შორის 16 ათასი ჰა სათიბს, 27 ათასი ჰა - საძოვარს, 257 ჰა მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო 2 ათასი ჰა სახნავს, რაც საერთო ფართის მხოლოდ 2% - შეადგენს.[3] 68 ათასი ჰა კი ტყის ფართობებით არის დაკავებული.

ერთწლიან კულტურებში ძირითადი ადგილი უკავია ისეთ სახეობებს, როგორებიცაა: სიმინდი, ლობიო და კარტოფილი. მათგან კარტოფილს ნათესი ფართობების 70% უკავია. საშუალო მოსავლიანობა 1 ჰა-ზე 10 ტონას არ აღემატება.

საშუალომთიან სოფლებში პრიორიტეტულია მევენახეობაც, რომლის მოსავლიანობა ჰა–ზე 3 ტონას შეადგენს.

მეცხოველეობა - მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელსაც გავნვითარების სერიოზული პერსპექტივა გააჩნია. მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, შესაბამისად მეცოხველობის ძირითადი მიმართულებაა ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 ფერმერული მეურნოება და 5 საწარმო. 90-იან წლებსი საქონლის რაოდენობა შეადგენდა 15 000 სულს, დღეს კი მათი რაოდენობა 4000-მდე ჩამოვიდა. მუნიციპალიტეტს გააჩნია მეცხოველეობის უმსხვილეს დარგად ჩამაყალიბების შესაძლებელობა. თუმცა ამისათვის აუცილებელლია რიგი პრობლემების გადაჭრა, მათ შორისაა საძოვრებზე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. რეგიონში ფუქნციონირებს ქართულ-შვეიცარიული ფერმა ”ბლაუწშტაინ - საქართველო”, რომელიც წარმატებით ახორციელებს ადგილობრივი ჯიშის გაუმჯობესებას ხელოვნური

[3] წყარო: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

განაყოფირების გზით. შედეგად ხდება სახორცე და სარძევე ჯიშის გამოყვანა, რომელიც სრულიად ადაპტირებულია ადგილობრივ კლიმატურ და რელიეფურ პირობებთან. იგივე კომპანიის მიერ გაიხსნა ხორცის გადამამუშავებელი საწარმო და სასაკლაო.

მუნიციპალიტეტში თითქმის არაა განვითარებული მეღორება. მაშინ როდესაც რაჭული ღორი - გარკვეულ წილად "საბრენდო" პროდუქტს წარმოადგენდა. ამ მიმართულების აღდგენისათვის აუცილებლია სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი ვეტერინარული სამსახურების აქტიური მუშაობა.

მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია მეფუტკრეობა. დღეის მდგომარეობით რეგიონში აღირიცხება 2400 ფუტრის ოჯახი. ადგილობრივი თაფლი ბუნებრივ-კლიმატური პირობების დამსახურებით გამიორჩევა განსაკუთრებული საგემოვნო და სამკურნალო თვისებებით. მოსახლეობისათვის ხშირ შემთხვევაში პრობემურია თაფლის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ბუნებრივი საფრთხეები

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ამიტომ ბუნებრივი საფრთხეები განსაკუთრებით აქტიურია. მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, ქვაზვავი, მდინარის ნაპირების ეროზია და მიწისძვრა. უკანასკნელ ათწლეულში, აღნიშნული კატასტროფები გაძლიერდა, განსაკუთრებით გახშირდა მიწისძვრები. მიწისძვრების შედეგად გააქტიურდა მეწყრული მოვლენები, აღნიშნულმა საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო–სამეურნეო სავარგულებს. დაზიანებული და საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფართობები აღრიცხული არ არის. მეწყერსაშიშია ონის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა მაღალმთიანი სოფელი. ბუნებრივი საფრთხეების ზონაში ხვდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურაც, გზის მონაკვეთები, ხიდები, ტურისტული – დასასვენებელი ობიექტები.



ონის მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა დიდთოვლიანი ზამთარი. თოვლის ზვავებისაგან ხშირად ზიანდება ონი–შოვის საავტომობილო გზა უწერისა და გლოლას მონაკვეთებზე. ონის მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა. ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოსაფხვრელად ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყო ჯებირები და გაბიონები, გაიწმინდა რიონის კალაპოტი ინერტული მასალისაგან, მოხდა დაზიანებული ხიდების აღდგენა. თუმცა ონის მუნიციპალიტეტში არაფერი კეთდება ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისათვის, ასევე არ ხდება მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინება მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი დაგეგმარებისას.

4. სასოფლო სამეურნეო ბიზნესის საჭიროებები

ონის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამურნეო ბიზნესის საჭიროებები წარმოდგენილია SWOT ანალიზის სახით (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) რომელიც მოიცავს ფოკუს ჯგუფის შეხვედრების და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგებს.

<u>ძლიერი მხარეები</u>

ფოკუს ჯგუფების მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერების აზრით ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სექტორის **ერთ-ერთ ძიერ მხარეს ეკოლოგიურად სუფთა გარემო და შესაბამისი კლიმატური პირობები წარმოადგენს**, რომელიც ხელს უწყობს მეფუტკრეობის და მეცხოველეობის განვითარებას. ალპური საძოვრები და სათიბი სავარგულები იძლევა მეცხოველეობის დარგის მნიშვნელოვანი გაძლიერების შესაძლებლობას. ”**ონს გააჩნია ბუნებრივი სიმდიდრეები - სასწაული სათიბები გვაქვს. ასეთი ფართობების და ხარისხის სათიბები და საძოვრები არსად არა გააჩნიათ საქართველოში**” - აცხადებს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერი. ტყის რესურსი ასევე არის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე, რომელიც იძლევა მეურნეობების სხვადასხვა მიმართულებებით განვითარების საშუალებას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილის აზრით: **”ტყის რესურსების ათვისება უნდა მოხდეს, რადგან არსებობს მეფუტკრეობის ბაზა და აგრეთვე მეცხოველეობის. ვებრეთელა საკურორტო ტყის მასივებია და მისი განვითარება შეიძლება, როგორც საკურორტო ზონად. სატყეო მეურნეობის დარგის განვითარება ამოუწურავია, ძალიან დიდი სიმდიდრე გააჩნია”.**

მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, კარტოფილის წარმოება მცირე და საშუალო ფერმერების მიერ დასახელებულია იმ ძირითად სასოფლო სამეურნეო საქმიანობებად, რომლებსაც ერთის მხრივ აქვთ განვითარების პერსპექტივები და მეორეს მხრივ არსებობს აღიშნული მიმართულებებით მნიშვნელოვანი გამოცდილება. ადგილობრივი მცირე და საშუალო ფერემერების უმეტესობა ტრადიციულად ჩართულია მეცხოველეობაში და მათი მიერ დასახელებული ძირითადი გამოწვევები სწორედ მეცხოველეობის დარგის ხელშეწყობას ეხება.

ამასთან, **ონი მდიდარია ჰიდრო რესურსებით,** რაც მომავალში ქმნის მცირე ჰესების აგების შესაძლებლობას. ასევე, **იქ არსებული მჟავე წყლები უნიკალურ ბუნებასთად ერთად ქმნიან ტურზმის, განსაკუთრებით კი აგრო-ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო გარემოს.** სოფელ შოვში სასტუმროს მფლობელის აზით: ”შოვი კურორტული ზონაა, ამასთან ვავითარებთ საკუთარ მეურნოებას, შედეგად გვაქვს საკუთარი წარმოების ჯანსაღი პროდუქცია. თუმცა საჭიროა პირობების გაუმჯობესება, ბევ დამსვენებელს ჩვენი პირობები არ მოწონს და მეტი კომფორტი უნდათ. ასევე ზამთარშიც არის მოთხოვნა, მაგრამ არ მაქვს გათბობდა და ვერ ვღებულობ დამსვენებელს”.

სუსტი მხარეები

ერთ-ერთ ძირითად სუსტ მხარედ, როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ასევე ჩაღრმავებული კვლევის მონაწილეები, პირველ რიგში **სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობას მიიჩნევენ**. "ზოგადად ტექნიკის სიმცირეს თავი რომ დავაბენოთ, ონში საერთოდ არ არის სახნავი ტექნიკა, მიოხნა დავუშვათ ეს მიწა, მაგრამ იმ დღესვე ვერ დაფარცხავს, ერთი ან ორი კვირა მაინც უნდა. ასე გადის ორი კვირაც და მეტი, მერე გვეუბნებიან, რომ არ სცალიათ, ან ადგილზე არ არიან, ამიტომ მოსავლის დათესვა ხდება დაგვიანებით" - აცდახებს ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

დამატებით პრობლემას წარმოადგნეს მცირეგაბარიტიანი ტექნიკის არ არსებობა, რაც აუცილებლია ონის რელიეფის სპეციფიკის გათვალისიწნებით. ფოკუ-ჯგუფის მონაწილის ინფორმაციით: "აბროლაურში რაც არის ეს შ.პ.ს. „მექანიზატორი" მთლიანად რეგიონს ემსახურება, ანუ იქ არის ცენტრი გაკეთებული, ონიდან ამბროლაურამდე 25 კილომეტრია, ხოლო ონიდან ღებამდე რომ ავიდეს 55 კილომეტრია. მაგალითად მომყავს, შორს არის და ხარჯია დიდი, წელს სახელმწიფომ შემოიღო, რომ უფასო იყო მოხვნა, მაგრამ ერთი გაწევ გამოწევა იყო, რადგან არასაკმარისია ტექნიკა. სოფელ ღებში იყო ასეთი პრობლემა რომ ვერ გაეტია ტრაქტორი, რადგან იქ არის ორღობეები, სადაც ვერ ახერხებს გატევას ეს ტექნიკა. რელიეფიდან გამომდინარე. რადგან დანაწევრებულია ნაკვეთები, პატარ-პატარა ნაკვეთებია ტრაქტორი თავისი აგრეგატებით ვერ ახერხებს მოხვნას. პატარა ტრაქტორები ჩვენი რელიეფისთვისაა ზედგამოჭრილი". ტექნიკის საკითხი, როგორც აღინიშნა, ძალიან მწვავედ დგას მუნიციპალიტეტში. ერთ-ერთი რეპოსპოდენტი, რომლიც მეცხოველეობას ეწევა აცხადებს, რომ პირდაპირ კავშირშია სათიბი ტექნიკაზე ხელმისაწვდოდმობა მისი საქმიანობის შედეგიანობასთან: **"ტექნიკა არ გვაქვს, რომ მოვთიბოთ და შემდეგე მოვიტანოთ ეს თივა, ზაფხულობით მთაშია საქონელი და არ გვაქვს პრობლემა, მაგრამ ზამთარში თივის გარეშე ვერაფერს გავხდებით - თუ თივას ვერ მიოტან საქონელსაც ვერ იყოლიებ"**. ფერემერების აზრით თუ მექანიზაციის საკითხი მოგვარდება, ამით ძალიან ბევრი პრობლემა მიოხსენბა როგორც მიწათმოქმედების, ასვე მესაქონლეობის მიმართულებით.

ყველა ფერმერი, რომელიც ეწევა მესაქონლეობას, **აცხადებს რომ მათთვის განსაკუთრებულად აქტუალურია ვეტერინარის მომსახურებაზე ხლმისაწვდომობა.** ამ მიმართულებით იგულისხმება, როგორც ვეტერინარების არასაკმარისი რაოდენობა, ასევე მათი ცოდნის დონე. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა ოჯახს დაეხოცათ ღორები და ფაქტორბრივად ვერ დაადგინდა ამის მიზეზი.**"ჩვენთან ბევრი ღორი იხოცება - ექიმი არ არის, ექიმი როცა არის წამალი არ არის - მთელ სოფელს დაეხოცა ღორები"** - აცხადებს ფერემერი. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ინფორმაციით, ონის ძირითადი შემოსავალი ადრე ვიჩინა და ღორის ხორცი იყო. ამათან, ღორის შენახვა ძალიან იაფი ჯდებოდა. ასევე, პრობლემურია საქონლის დაავდებათა კონტროლი, მცირე და საშუალო ფერემერების აზრით: **"ვეტერინარიაში ბევრი რამ იცვლება, შემოდის ახალი დაავადებები, ახალი წამლები, ვინც არიან ვეტერინარები ბევრი იციან, მაგარმ მათ აუცილებლად ჭირდებათ გადამზადება . ასვე**

საჭიროა უბნის ვეტ-ექიმები, რომლებიც მივლენ ფერმებში - რჩევას მიცემენ, დროზე უშველის საქონელს".

ონიში მცხოვრები მცირე და საშუალო ფერმერებისათვის, ასევე ზოგადად ადგილობრივი მოსახლეობისათვის **ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სასკლაოს არ არსებობა.** "არა გვაქვს ხორცის ბოინი, გვეუბნებიან აბროლაურში წადიო და შქმერიდან რომელ ძროხას წავიყვან იქ დასაკლავად, ამას ესაჭიროება დაახლოებით 200 ლარის ხარჯი, მანქანა ავიყვანო იქ მივიდე და ბოინში ფული გადავიხადო, გვეუბნებიან ააშენეთო, მე როგორ ავაშენო, აქ რამოდენიმე კაცია რომელიც მუშაობს ხორცზე, ფაქტიურად ვერ ვახერხებთ რომ ამბროლაურში ჩავიყვანოთ. თუ არის შესაძლებლობა და ვინმე ყურს დაგვიგდებს ჩვენ, რომ ერთი ბოინი ააშენონ, ვართ კანონმორჩილი ხალხი და შევალთ ჩვენც და დავკლავთ საქონელს" - აცხადებს ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერი. ადგილობრივები ინფორმირებულირები არიან, რომ კეძო ქართულ შევეიცარიული კომპანია ხსნის სასაკლაოს, თუმცა მათი აზრით ეს მაინც არაა გამოსავალი: **"ეხლა იხსენება კომპანიის მიერე სასაკლაო, მაგარამ აქაც პრობლემა ისაა, რომ ადგილიდან დაშორება ძალიან დიდია და ესეც ხარჯებთან არის დაკავშირებული. გლეხისთვის ძალიან ძნელი იქნება იქ საქონლის მიყვანა".**

სასოფლო-სამეურნო პროდუქციის რეალიზაცია ასევე პრობლემურია ადგილობრივი ფერმერებისათვის. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, რომელიც წლებია მეფუტკრეობით არის დაკავებული აცხადებს: "ფუტკარი რომ ყავს ადამიანს 10 ძირი და რომ ეუბნები - განავითარეო, თუ ის ვერ უკეთებს რეალიზაციას იმ რაოდენობის პროდუქციას რაც აქვს - როგორ უნდა განავითაროს? მაშინ მომეხმარე გაყიდვაში და მეც განვავითარებ შემდეგ". ერთ-ერთი მცირე ფერმერი ამბობს, რომ **"განვითარების სურვილი როგორ არ გვაქვს, ძალიანაც გვინდა. დავამუშავებთ მიწებს არ არის პრობლემა, თუნდაც ხელითაც და ხარითაც, მეტ მოსავალსაც მოვიყვანთ, მაგრამ რაც გვაქვს და მოგვყავს იმის რეალიზაციაც გვიჭირს"** ფერემერების აზრით, რეალიციასთან დაკავშირებულ სირთულეები ძირითადად დიდ ქალაქებთან სიშორითაა განპირობებული: **"შემოკლებითი გზები თუ გაკეთდა ჩვენთან ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება".** ამასთან, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას ტურისმის განვითარებას უკავშირებენ. ისინი თვლიან, რომ თუ ტურისტების რაოდენობა მოიმატებს, მაშინ შესაძლებელი გახდება წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზაცია.

ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუსტ მხარედ დასახელდა **დაბალი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პროგრამებზე,** როგორებიცაა აგროსესხები, საერთაშორისო ორგანიზაციების საგრანტო ინიციატივები, და ა.შ. ადგილობრივი ფერმერის ინფორმაციით: "ორმა ფერმერმა ისარგებლა იაფი კრედიტის პროგრამით კრედიტით, მაგრამ ამ შემთხვევაში რა არის პრობლემა მოგახსენებთ, 5000-იდან იწყებოდა და 7500-მდე იყო სესხი, მაგრამ იმხელა რაღაცის ჩადებას ითხოვენ ამ პატარა თანხაზე, რომ ის იძულებული გახდა მთლიანი ქონება ჩაედო, რომ თანხა აეღო. საკრედიტო ოფიცერი საერთოდ არ არის, აბროლაურის რაიონში იყო ადრე, ახლა არც ცაგერში და არც ლენტეხში საკრედიტო ექსპერტი არ არის, რომელიც შეიძლება მოვიდეს და მოგემსახუროს. ქუთაისიდან ამოდის საკრედიტო ექსპერტი, მაგრამ ფაქტიურად მაინც ხელმიუწვდომელია მისი მომსახურება."

ამასთან, **რესპოდენტების უმეტესებობისათვის პრობლემურია მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის რეგისტრაცია** - რაც მათთვის დაკავშირებულია

დამატებით ფინანსურ ხარჯებთან და რთულ პროცედურებთან, და შესაბამისად ისინი ვერ ახერხებენ კრედიტის სათანადო უზურნველყოფას. ასევე მონაწილეები შეეხენ სახლემწიფო პროგრამას აწარმოე საქართველოში: "ეხლა არის მაგალითად აწარმოე საქართველოში პროგრამა, ნებისმიერი ბიზნესის წარმობა შეგიძლია აქ ადგილზე, 20 მილიონი არის გამოყოფილი ამ პროგრამაზე რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, აქ ჩვენთან შესაძლებელია 50-60 კაცმა დაიწყოს მცირე ბიზნესი და მემგონი 15000 ლარი ცოტა არ არის. თუნდაც სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სხვა დარგებსაც ეხება. ესეთი პროგრამები რახან ხორციელდება, ალბათ სახელმწიფოც დაინტერესებულია რომ ხალხი დააბრუნოს და აღარ იყოს მიგრაციის საშიშროება. მაგალითად მეც მინდა ბიზნესის წამოწყება, მაგრამ რახან ხალხიც არ არის შესაბამისად შესაძლებელია წაგებაზე წახვიდე". ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მფლობელი რესპოტენტი აცხადებს, რომ **"კი არის რაღაც სახელმწიფო პროექტები სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, მაგრამ ყველაფერი მიბმულია კომერციულ ბანკებთან. სახელმწიფო იაფი კრედიტის პროგმაით შეუძლებელია რეალურად დაბალპროცენტიანი სესხის აღება".**

<u>შესაძლებლობები</u>

ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნოების განვითარებისათვის შემდეგი პრიორიტეტული დარგები გამოიკვეთა: **მესაქონლეობა, მეღორება, მეფუტკრეობა.** ამასთან, არსებული ბუნებრივ კლიმატური პირობები და მჟავე წყლის რესურსები **იძლევა ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას.** დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ **სატბორე მეურნეობებსა და კამლახის მოშენებას გააჩნია საკმაოდ დიდი პერსპექტივა**, რისთვისაც ყველა ბუნებრივი პირობაა რეგიონში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა გამოყვეს ის მიმართულებები, რომლეთა განვითარების შესაძლებლობა დიდია რეგიონში: "მეფუტკრეობა ძალიან ამართლებს ჩვენ რეგიონში."; "მეცხოველეობისთვის არის კარგი პირობები, გვაქვს უნიკალური საძოვრები"; "მესაქონლეობა მომგებიანი კი არის მაგრამ ღორი სწრაფშემოსავლიანია, შენახვა ბევრი არ ჯდება" - აცხადებნენ ფოკუს ჯგუფის მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერები.

ასევე დარგობრივი შეფასების ჭრილში საინტერესოა, რომ ფოკუს-ჯგუფების რამოდენიმე მონაწილის მიერ მოხდა ისეთი დარგების ინდეტიფიცირება, რომლებიც არც თუ ისე მასობრივი და აქტუალურია მიმდინარე ეტაპზე, თუმცა გააჩნიათ შემოსავლიან დარგად ფორმირების პერსპეტივა. მათ შორის არის კაკალი. ერთ-ერთი მოწილის ინფორმაციით ონში **მიწა არის ე.წ. "კაკალნაყოფიერი" და ამ დარგის განვითარებით სერიზული ფიფინანსური მოგების მიღებაა შესაძლებელი. კიდევ ერთი ასეთი უნიკალურ შესაძლებლობად დასახელდა სოჭის სანერგე მეურნეობის მოწყობა:** "მსოფლიო ბაზარი დაიპყრო აბროლაურის რაიონს სოჭის ხემ, არიან ევროპაში ქვეყნები, რომლებმაც სოჭის განახლება ვერ მიიღეს და ამბროლაურის რაიონმა ამოისუნთქა და ოჯახები გამდიდრდნენ, მართალია ხარისხით ვერ შეედრება, მაგრამ ჩვენ ხე კი არ უნდა მოვჭრათ, არამედ ფესვი უნდა დავაგროვოთ ორი-სამი წლის განმავლობაში.სოჭის ხეს დიდი შემოსავალი ექნება მსოფლიო ბაზრიდან თუ ნორმალურად გადავამუშავებთ" - აცხადებს ფერმერი.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერების აზრით **ტექნიკით ურზუნველყოფა და გზების რეაბილიტაცია წარმოადგნენ ისეთ შესაძლბელობას,** რომლიც ყველა ზემოთხსენებული დარგის განვითარებისათვისაა აუცილებელი. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერემერის აზრით **"გზა არის გასაყვანი ტყეში, უნდა გაიკაფოს გზა რამოდენიმე მეტრზე. სავარგულებს ვერ ვიყენებთ უგზოობის გამო. ისეთი ადგილებია ტექნიკა ვერ უდგება, იქ საჭიროა გზის გაკეთება".** ასევე დიდ ქალაქებთან დამაკავშირებელი შემოკლებული გზების გაყვანა, ფერემერების აზრით მნიშვნელოვანად გაზრდის მათ შესაძლებლობას რეალიზაცია გაუწიონ ადგილობრივ პროდუქციას. სასოფლო სამეუნეო ტექნიკა კი წარმოადგენს იმ გამჭოლ საკითხს, რომლიც ყველა ფერემერისათვის ერთნაირად აქტუალურია. ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტს საერთოდ არ გააჩნია საკუთარი პარკი და ფერებს ამბროლაურში არსებული ტექნიკის რიგში უწევთ ყოფნა და მეორეს მხრივ, საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი მცირეგაბარიტიანი ტეანიკა, რაც ხშირ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს რთულად მისადგომი სავარგულების დამუშავებისათვის. ასევე ძალიან დიდია სათიბი სავრგულების რაოდენობა, თუმცა მათი დროულად მოთიბვა ისევდა ისევ ტექნიკის მოუცელელობის ანდა სავარგულის სიშორის გამო დიდი სირთულეებთანაა დაკავშირებული. სათანადო თივის მარაგების უზურნევყოფა კი თავის მხრივ უზუნრველყოფს მესაქონლეობის წარმატებით განვითარებას. **"თუ ტექნიკით მომარაგება, თანაც დროულად, უზურნველყოფილი იქნება, მაშინ ბევრ დარგს და ყველა გლეხს ეშეველება"** -აცხადებს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მცირე ფერმერი.

ასევე მნიშველოვანია, **კვალიციციური აგრონომებისა და ვეტერინიარების არსებობა მუნიციპალიტეტში.** ფერემერთა აზრით ასევე აცულებელია ხელმისაწვდომობა შესაბამის ლაბორატორიებზე: **"ნიადაგის კვლევა არ ხდება, არ არის ლაბორატორია რომ გამოიკვლილოს ესენი, ვეტერინარული ლაბორატორიაც არ არსებობს. ამბროლაურში გახსნეს ეხლა, თუმცა ჩვენ მაინც არ მოგვიწვდება ხელი".** ადგილობრივი ვეტერინარი მიიჩნევს, რომ აუცილებლია მუდმივი გადამზადება და არსებული ვეტერიანრების ინფორმირება ახალი დაავადებების და მათთან ბრძოლის მეთოდებზე. ამასთან ის მიიჩვენს, რომ **"უნდა გაიხსანას ვეტ -უბდები. იმიტომ რომ სანამ ჩემემდე მოდის გლეხი, მანამდე ეხოცება მას საქონელი. ვეტ-უბნები რომ არსებობდეს, შედეგი მეტი იქნება - ოპერატიულად ადგილზე შეძლებს ვეტერინარი საქონლის ნახვას და შესაფასებას. ასევე აუცილებლია დავაადებებთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების გააქტიურება. არის დაავადებები რომლებსაც სახელმწიფო არ აფინანსებს".**

მცირე და საშუალო ფერმერები მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები არიან ამა თუ სახელმწიფო თუ საერთაშორისო მხარდამჭერ პროგრამებზე, თუმცა მათ აქვთ პრობლემები აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის კუთხით. ბუნებრივია, ამგვარი **მხამდამჭერი პროგრამებით სარგებლობა მათ მისცემდათ საკუთარი მეურნეობის განვითარების ანდა ახალი ინიციატივის გახორციელების შესაძლებლობას.** ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, აუცილებელია **პირველ რიში გახორციელეს უკეთესი ინფორმირება, ვის და როგორ შეუძლია ისარგებლოს ამა თუ იმ ინიციატივით.** თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია **ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ბიზნეპროექტების შემუშავების მიმართულებით.** ფერემერების აზრით. **"ძალიან კარგი პროგრამებია რომლითაც არ უსარგებლია მოსახლეობას და უნდა ჩატარდეს ტრენინგები, თუნდაც იმ ბიზნეს გეგმის**

მომზადებაში, კადრების გადამზადებაში. ადამიანს უნდა მაგალითად მეფუტკრეობაში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნა, მაგრამ ეს არის სურვილი მხოლოდ, მას სჭირდება ათასგვარი მომზადება და სწავლა. ფუტკრის პროდუქტი ჩვენ ვიცით რომ არის ეკოლოგიურად კარგი, მაგრამ მას რომ მიეცეს გასაყიდი პროდუქტის სახე, ამას სჭირდება ათასგვარი ცოდნა და მომზადება. ამისთვის ჩვენ არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გვაქვს". საგულისხმოა, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ბიზნეს-გეგმის დაწერისა და შემდგომ რეალურად მისი მართვისთვის აუცილებელია სათანადო ცონდის მიღება და უნარების გაზრდა. **"თუ იქნება ფერმერი განათლებული მხოლოდ მაშინ შეძლებს ბიზნეს გეგმის დაწერას, თუნდაც ეს გრანტის მიღებისთვის ჭირდებოდეს, შემდგომში საჭიროა იმ გეგმის სწორი შესრულება. ამიტომ პირველ რიგში განათლება უნდა მივცეთ - მაგრამ ამაზე კაციშვილი არ მუშაობს"** - აცხადებს ფერმერი.

<u>საფრთხეები</u>

ონში სასოფლო სამეურნეო საფრთხეები **ძირითადად ბუნებრივ კატასტროფებთანაა დაკავშირებული**. "ბუნებრივი კატაკლიზმებია ჩვენი ძირითადი საშიშროება, იმიტომ რომ ძალიან მკაცრი ბუნება არის ჩვენთან, ზაფხულში მდინარეები დიდდება, ის მდინარე, რომლიც გვერდზეც ჩვენი ობიექტია. კიდევ ის არის, რომ ზამთარი თოვლიანია და ხშირად გზები იკეტება, იმედი მაქვს მიექცევა მეტი ყურადღება ზამთრში გზის გაწმენდასთან დაკავშირებულ საკითხებს" - აცხადებს რესპოდენტი. ფოკუს-ჯგუფი მონაწილეების მხრიდან ასევე დასახელდა მიწისძვრა, მათი აზრით ყველა შენობა-ნაგებობა 8-9 ბალიან მიწისძვრაზე თუ არ იქნება გათვლილი, დიდი რისკია რომ დაინგრეს. ის ფერმერები, რომლებიც მიწათმოქმედებით არიან დაკავებული ყველაზე მეტ პრობლემას გვალვებში ხედავენ: "წელს გვალვა იყო და სულ გაგვიფუჭდა მოსავალი, პრინციპში თითქმის ყოველ წელს გავქვს ამის პრობლემა". ასევე მიწათმოქმედი ფერმერებს წყალდიდობები აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს: **"წყალდიდობები ძალიან ხშირად გვართმევს სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ამიტომ საჭიროა ჯებირების აშენება და ეს სახელმწიფო ნებაც უნდა იყოს, ბევრ სოფელში მეწყერი ჩამოწვება და მიაქვს მიწები. ნაპირსამაგრი სამუშაოები არის ჩასატარებელი თითქმის ყველა სოფელში"**

მცირე და საშუალო ფერემერების მხრიდან საშიშროებად ასევე დასახელებულ იქნა ისეთი ბუნებრივი კატასრტორები, როგორებიცაა; ღვაროფი, სეტყვა და მეწყერი.

მიგრაცია არის ის საკითხი, რომლიც განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონში. მოსახლების ძირითადი ნაწილი ასაკოვანია. **"მეტი საფრთხე რაღა გინდა თუ არავინ დარჩა ონის რაონიში. ყველას წასვლა უნდა აქედან. ახალგაზრდები თითქმის აღარ არიან. 20 ლარი ვინც იშოვა ავტობუსით წავიდა აქედან და აღარ მობრუნებულა"** - აცხადებს ფოკუს ჯგუფის მონაწილე. მიგრაციის შეჩერება აუცილებელი წინაპირობაა სხვადასხვა ეკონომიკური შესაძლებლობის წარმატებული რეალიზაციისათვის. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერის აზრით,

”შრომისუნარი მოსახლეობა უნდა იყოს რეგიონში პირვე რიგში. ყველაფერს ფინანსური მხარდაჭერაც რომ იყოს, ტექნიკაც რომ შევიძინოთ მოსახლეობას ხომ ვერ ვიყიდით. ამიტომ რაიონში ხალხი უნდა დაბრუნდეს ჯერ. მუშა-ხელი არ არის რაიმე საქმნიანობა რომ დაიწყო”. ”მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის რომ ჩემი შვილი აქ არ მობრუნდეს, მითუმეტეს რომ უყვარს რაჭა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში. ჩემსავით ვერ ვამყოფებ მას” - აცახდებს მცირე ფერემერი.

მეცხოველეობაში ჩართული მცირე და საშუალო ფერმერებისათვს **ეპიდემიური დაავადებები, განსაკუთრებით ღორისა და საქონლის, დიდ საფრთხეს წარმოადგენს.** მათი ინფორმაციით ძალიან ბევრი ახალი დაავადება შემოდის. ვეტერინარი კი ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ან არ იცის რომელი წამალი როდის და როგორ უნდა გამოიყენოს. პირები, ვინც აქტიურად ეწეოდნენ მეღორეობას უიმედოდ ელოდებიან იმის დადგენას, თუ რომელმა დააავადებამ გამოიწვია ღორების მასობრივი დახოცვა და რა გზებს უნდა მიმართონ პრობლემის შემდგომში თავიდან ასაცილებლად. ”საქონელი ტკიპებით არის სავსე, ღორები გვეხოცება - არავინ გვეუბნება რა უბდა ვქნათ” - აცხადებს ფერმერი.

ონი სასაზრვრე რეგიონია და ეს ფერმერების აზრით გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს. ისინი თვლიან რომ რეგიონში საჭიროა პოლიტიკური ღონისძიებების გატარება. აღნიშნულ საკითხთანაც კავშირშია მიგრაციის პრობლემა, რამდენადაც დაცარიელებული სასაზვრო რეგიონი დმატებითი პოლირიკური და უსაფრთხოების ხასიათის რისკებთანაა დაკავშირებული.

ონის მუნიციპალიტეტის აგრობიზნესის საჭიროებები - SWOT ანალიზი

მცირე და საშუალო ზომის ფერმერების მოსაზრებები ხარგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის SWOT-ანალიზის მიზნებისთვის მეტ-ნაკლებად მსგავსია და შესაბამისად წარმოდგენილია გაერთიანებული სახით:

ძლიერი მხარეები (Strengths)	სუსტი მხარეები (Weakness)
• ეკოლიგიურად სუფთა გარემო; • ტყის დიდი მასივები; • მდიდარი წყლის რესურსები, მათ შორის მინერალური წყლები; • სათიბი სავარგულებისა და საძოვრების დიდი ფართობი;	• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა • ვეტერინარისა და აგრონომის კვალიფიციური მომსახურების შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • სასაკლაოს არ არსებობა; • სასოფლო-სამეურნოს პროდუქციის რეალიზაციის სირთულე; • დაბალი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პროგრამებზე (აგროსესხები, გრანტები და ა.შ);

შესაძლებლობები (Opportunities)	საფრთხეები (Threats)
• ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, განსაკუთრებით საძოვარ და სათიბ სავარგულებზე მისასვლელი გზების. • მეცხოველეობის განვითარება, განსაკუთრებით მესაქნლეობისა და მეღორეების მიმართულებით; • სასოფლო-სამეურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება; • კვალიფიციურ აგრონომებზე და ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ცხოველთა დაავადებების კონტროლი; • მემეცენარეობის განვითარება (კარტოფილი, სიმინდი ლობიო, ქერი, ხორბალი და სხვა); • სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებზე და პროექტებზე საინფორმაციო უზურნველყოფა; • ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ბიზნეპროექტების შემუშავების მიმართულებით; • მეფუტკრეობის განვითარება; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. • ტურიზმის განვითარება, განსაკუთრებით აგროტურიზმისა და სამკურნალო მინერალური წყლების მიმართულებით; • მეთევზეობის მეურნეობის განვითარება; • მცირე ჰესების აშენება და ამოქმედება;	• ბუნებრივი კატასტროფები (მიწისძვრა, მეწყერი, გვალვა); • მიგრაცია; • ეპიდემიაური დაავდედები (ღორისა და საქონლის); • სასაზღრო ზონასთან სიახლოვე;

ამასთანმ ფოკუს ჯგუფის მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერები მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ძირითად პრიორიტეტულ საჭიროებებს შემდეგი სახით ანაწილებენ



გრაფიკზე ასახული საჭიროებები:

- (1) **ტექნიკით უზურნველყოფა** - მაღალი ხარისხის სასოსფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთებით მნიშვნელოვანია მცირეგაბარიტიანი ტექნიკის არსებობა, რომლიც მიუდგება რთულ რელიეფიან სავარგულებს;
- (2) **განათლება** - იგულისხმება ფერმერთა კვალიფიკაციის და მათი განათლების დონის გაზრდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ასევე საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- (3) **გზა** - ადგილობრივი ფერმერებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; მუნიციპალიტეტი მდიდარია სათიბი და საძოვი სავარგულებით, თუმცა მათთან მისასვლელი გზები თითქმის სრულიად ამორტიზირებულია.
- (4) **კანონმდებლობა** - იგულისხმება მთის შესახებ კანონის მიღება, რომლიც დააწესებს გარკვეულ შეღავათებს, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირებისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც აღნიშნულმა კანონმა უნდა მიიტანოს - არის მიგრაციის შეჩერება.
- (5) **ტურიზმის განვითარება** - ონის რაიონში ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივა არსებობს, რაც განპირობებულია უნიკალური ბუნებრივი პირობებით და მჟავე წლების რესურსით. ამასთან, ტურიზმის განვითარება პირდაპირ მოახდენს სოფლის მეურნეობის სტიმულირებას და ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ადვილად შეძლებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობა ონის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური მიმართულებაა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტულია: კარტოფილი, ლობიო, სიმინდი.

მუნიციპალიტეტში არსებული პირობები, სათიბი და საძოვარი სავარგულების რაოდენობა და ხარისხი მეცხოველეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. მესაქონლეებს პრობლემები ექმნებათ სოფლებში ვეტერინარულ მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობის გამო. ასევე, ტექნიკის სიმცირე იწვევს თივის მოპოვებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

რეგიონში ტყის დიდი მასივებისა და მჟავე წლების რესურსი იძლება საშუალებას ასევე განვითარდეს ტურიზმი, რომლიც შესაძლოა გახდეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის კატალიზატორი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი საჭიროებები:

- *მცირე ფერემრებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება* - ადგილობრივი მცირე ფერმერებისთვის თითქმის არ არსებობს შეღავათიან აგროსესხებზე ხელმისაწვდომობა. მათ უჭირთ ისეთ პროგრამებში მონაწილეობა, სადაც შეღავათიანი სესხის მისაღებად კანდიდატს თანადაფინანსება ან მნიშვნელოვანი ქონებრივი უზრუნველყოფა სჭირდება. შესაბამისად იმ პირობებში როდესაც მსხვილი ფერმერებისათვის შეღავათიანი სესხი მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, მცირე ფერმერებს ურთულდებათ მათთან კონკურენცია და თითქმის ვერ ახერხებენ დაფინანსების მიღებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება ე.წ „სტარტ-აფ“ ბიზნეს-იდეებისათვისაც.

- *ახალი დარგების ათვისება და განვითარება რეგიონში* . რეგიონში არის ხელსაყრელი პირობები სათევზე მურნეობების შესაქმნელად. წყლის რესურსი და კლიმატური პირობები იძლევა მეკალმახეობის განვითარების შესაძლებლობას. ასევე შესაძლოა მეკაკლეობის, როგორც წამყვანი დარგის ფორმირება, რამდენადაც არსებული ნიადაგი ხელსაყრელია ხარისხიანი კაკლის მოყვანისათვის. ამასთან, რაჭის კაკალი საკმაოდ ცნობილია და გაყიდვების კარგი პერსპექტივა გააჩნია. ფერმერების მხრიდან ასევე დასახელდა სოჭის ნერგების გამოყვანისა და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციის პერქსპეტივა. ზოგადად მნიშვნელოვანია, რომ ონის რეგიონში მოხდეს ე.წ. სანიშო ბაზრებზე გასვლა და გარკეული უნიკალური თვისებების მატარებელი პროდუქციის ხარჯზე მაღალი შემოსავლების მიღება. მაგალითისთვის კაკალი და სოჭის ნერგების წარმოება სწორედ ასეთ მიმართულებებად შეიძლება ჩაითვალოს.

- *აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა* - ონი მდიდარია ბუნებრივი წყაროებით, ტყის მასივებით და საკურორტო ადგილებით. მინერალური წყლების პოტენციალი არ არის ათვისებული. საკმაოდ ბევრი დამსვენებელი დადის შოვში. ტურსტების ნაკადის ზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გენერირებას და რაც მთავარია, გახდება სოფლის მეურნეობის სხვადსხვა დარგების განვითარების

სტიმულატორი. ადგილობრივი ფერმერები მიიჩვენენ, რომ თუ განვითადება ტურიზმი, მათ აღარ შეექმნებათ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

- *სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება; მცირეგაბარიტიანი ტექნიკის შემოტანა, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა* - მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით, მცირე და საშუალო ფერმერები აქტიურად სარგებლობენ სახელმწიფო უფასო ხვნა-თესვის პროგრამით, მაგრამ მათი აზრით ტექნიკა არის მოძველებული და ხშირ შემთხვევაში ონის რთულ რელეფთან შეუსაბამოა. მნიშვნელოვანია უშუალოდ მუნიციპალიტეტში იყოს საჭირო ტექნიკის რაოდენობა და ტიპები, რათა ფერემერებს არ უწევდეთ ამბროლაურში ჩასვლა და იქ რიგების დაკავება.

- *კვალიფიციური აგრონომიული და განსაკუთრებით ვეტერინარიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა* - ადგილობრივ ფერმერებს საკმარისად არ მიუწვდებათ ხელი კვალიფიციურ აგრონომებზე და ვეტერინარებზე. აგრო/ვეტ მომსახურება მუნიციპალიტეტში მხოლოდ რამოდენიმე პირს შეუძლია, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი რესურსი, ამასთან ისინი საჭიროებენ პერიოდულ გადამზადებას, რათა მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას ახალი დაავადებებისა და შესაბამისი პრეპარატების შესახებ. კვალიფიციურ ვეტერინარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა უზრუნველყოფს მსხვილფეხა საქონლის გამრავლებას, ხორცპროდუქტიულობისა და წველადობის გაზრდას, ასევე მოხდება დაავადებათა პრევენცია.

- *ცხოველთა დაავადებების კონტროლი* - ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ცხოველთა დაავადებების სიხშირე წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ონის მოსახლეობას ღორების დაავადებამ. დარგი, რომელიც წამყვანი იყო მუნიციპალიტეტში და საკმაოდ კარგი შემოსავალი მოჰქონდა ოჯახებისათვის, ფაქტობრივად განადგურების პირასაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში გატარდეს დაავადებების პრევენციის და კონტროლის ღონისძიებები.

- *მეფუტკრეობის განვითარება* - ონში მრავალი ოჯახი წარმატებით ეწევა მეფუტკრეობას. თუმცა, ხშირად აქვთ გაყიდვებთან დაკავშირებული პრობლემები. დარგი ზოგადად მაღალშემოსავლიანია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და გაყიდვების ხელშეყობის შემთხვევაში შესაძლოა ონში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან საქმიანობად იქცეს. დარგში უკვე არსებობს კოოპერატივი, შესაძლოა ამ კოოპერატივის ბაზაზე შეიქმნას თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე საწარმო. შედეგად, ადგილობრივი მეფუტკრეები შეძლებენენ საკუთარი საქმიანობის გაფართოებას და სხვა ფერმერებმაც შესაძლოა მოახდინონ დივერსიფიკაცია და ჩაერთონ აღნიშნულ დარგში.

- *სასოფლო-სამეურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება* - ფერმერებს ხშირად არ ყოფნით კვალიფიკაცია და ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ასევე ფერმერებს უჭირთ წარმოებისათვის ხარისხიანი სასუქების და შხამ-ქიმიკატების შეძენა, რადგან არ აქვთ საკმარისი ცოდნა ამ საწარმოო საშუალებების შესახებ. დამატებით, ფერმერები საჭიროებენ თანამედროვე ცოდნის შეძენას განსაკუთრებით მესაქონლეობის და მეფუტკრეობის მიმართულებებით.

- *ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ბიზნეპროექტების შემუშავების მიმართულებით* - ადგილობრივ ფერმერებს უჭირთ ბიზნესპროექტების მომზადება სხვადასხვა სახელმწიფო, დონორების/საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაციების კონკურსებისთვის. შესაბამისად ფერმერებს სჭირდებათ კვალიფიციურ ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბიზნესკონსულტაციების მეშვეობით ფერმერები არა მხოლოდ სრულყოფილ ბიზნესპროექტებს შეიმუშავებენ, არამედ აღნიშნული მომსახურება მათ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში დაეხმარება.

- *სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებზე და პროექტებზე ხშირი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება* - ადგილობრივი ფერმერებისათვის რთულია სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამების და პროექტების შესახებ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაბამისად პერიოდულად სპეციალური საინფორმაციო კამპანია უნდა ჩატარდეს ონში, რათა მოსახლეობამ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო/დონორების/საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაციების პროექტების შესახებ.

- *ბუნებრივი საფრთხეების ზიანის შემცირება* - ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს გახშირებული სტიუქიური მოვლენები, როგორებიცაა ძლიერი წვიმა, სეტყვა, მეწყერი, დიდთოვლობა და წყალდიდობა. შესაბამისად საჭიროა სტიქიური მოვლენების ზიანის შემცირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო აქტივების შენარჩუნებას.

დანართი 1 - სახელმძღვანელო ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის და ფოკუს ჯგუფებისათვის

I. **მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების ძლიერი მხარეების შესახებ;**

1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება თქვენი საქმიანობის ძლიერი მხარეები?
2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს ძლიერი მხარეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შეუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების შენარჩუნებას/გავითარებას და რა ფაქტორები ხდენს თქვენს ძლიერ მხარეებზე უარყოფით გავლენას?

II. **მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების სუსტ მხარეებზე**

1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება თქვენი საქმიანობის სუსტი მხარეები?
2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს სუსტი მხარეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების აღმოფხვრას და რა ფაქტორები კიდევ უფრო მეტად აურესებს თქვენი საქმიანობის სუსტ მხარეებს?

III. **მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების შესაძლებლობებზე**

1. თქვენი აზრით, რა არის ის შესაძლებლობები, რომელებიც თქვენს დაგეხმარებოდათ თქვენი საქმიანობის განვითარებაში/გაფართოვებაში?
2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს შესაძლებლობები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
3. თქვენი აზრით რა არის საჭირო არსებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად?
4. თქვენი აზრით ვინ უნდა იზრუნოს ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე?

IV. **მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების შესაძლებლობებზე**

1. თქვენი აზრით, რა არის ის საფრთხეები, რომელებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ თქვენს საქმიანობას მომავალში?
2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს საფრთხეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
3. თქვენი აზრით ვინ და როგორ უნდა იზრუნოს ამ ამ საფრთხეების განეიტრალებაზე/მათი გავლენის შემცირებაზე?

1. ზოგადად რა საჭიროებებს ხედავთ თქვენი სფეროს განვითარებისათვის?